

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №15

ქალაქი ქუთაისი

11 ივლისი, 2019 წელი

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კობხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი “თაობათა დიალოგი” თავმჯდომარე;
4. ლია გვენეტაძე - მწერალი, ჟურნალისტი;
5. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
6. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
7. მათა ყუფარაძე - ჟურნალისტი;
8. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
9. ქრისტინე მიქაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 9, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 13 წევრი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არ არის გადაწყვეტილებას უნარიანი, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა არ ესწრება. საბჭოს სხდომა სამუშაო შეხვედრის ფორმატში გაგრძელდა.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ნინო თვალთვაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე;

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

დღის წესრიგი


მე-15 სხდომა

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესი განხილვა. მომხსენებელი გიორგი ხარებავა.
4. სხვადასხვა.
5. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

6. მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის შესახებ დოკუმენტი წარმოადგინა. ბატონმა გიორგი ხარებავამ, GEPRა უფროსი კონსულტანტი. მან წარმოადგინა რიგი საკითხები, რომელზეც საბჭომ იმსჯელა სამუშაო შეხვედრის ფორმატში. ნებისმიერ მოქალაქეს მიეცემა საშუალება მიიღოს მონაწილეობა ინიციატივების კონკურსში, როგორც ონლაინ ისე ოფფ ლაინ რეჟიმში. შემოსულ ინიციატივებს განიხილავს საბჭო და 10 საუკეთესოს წარუდგენს მერიას, რომელთა შორის შეირჩევა 5 მოქალაქეთა პირდაპირი ხმის მიცემის მეშვეობით.

დოკუმენტი მოცემული დანართი 1.

აზრი გამოთქვას: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კობრიძე, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, ომარ კიკვიძე, თეიმურაზ ამყოლაძე, გიორგი ჭიჭინაძე, მათა ყუფარაძე, ექსპერტ გიორგი ხარებავას მიერ აღნიშნულ იქნა რომ საბჭოს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება დოკუმენტის საბოლოო რედაქციაში, რომელიც უახლოეს დღეებში გადაეგზავნება მრჩეველთა საბჭოს და ქუთაისის მერიას შემდგომი რეაგირებისათვის.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე 

ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი 

ნუგზარ კობრიძე

დანართი:

მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესი

1. მონაწილეობითი ბიუჯეტის არსი

მონაწილეობითი ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ალტერნატიული მექანიზმი, წარმოადგენს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობით მუშავდება და განისაზღვრება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტები. მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესი ხორციელდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტების ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.

2. მონაწილეობითი ბიუჯეტის მიზანი

მონაწილეობითი ბიუჯეტების დანერგვის მიზანს წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა უშუალო ჩართულობის მექანიზმის ინსტიტუციონალიზაცია, მოქალაქეთა საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება.

3. მონაწილეობითი ბიუჯეტების დაფინანსების წყარო

მონაწილეობითი ბიუჯეტების პროექტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. მონაწილეობითი ბიუჯეტების ფარგლებში განხორციელებული პროექტების შინაარსი მონაწილეობითი ბიუჯეტების ფარგლებში მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების არეალი უნდა ექცეოდეს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მიზნად ისახავდეს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას, წარმოადგენდეს საზოგადოებრივ საკუთრებას.

4. მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის პროცესი და პროცედურები

4.1. მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ბიუჯეტის განსაზღვრა:

ა) ყოველი წლის 1 მარტამდე ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტების ფარგლებში მომდევნო საბიუჯეტო წელს განსახორციელებელი პროექტების საერთო ბიუჯეტს, დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობას და თითოეული პროექტის დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას.¹

¹ გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა - 2019 წლის 17 ივლისამდე ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტების ფარგლებში მომდევნო საბიუჯეტო წელს დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობას.

ბ) ყოველი წლის 1 მარტამდე ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების წარდგენის ფორმებსა და ვადებს.²

4.2. მოქალაქეთა ინფორმირება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის შესახებ:

ა) ყოველი წლის 2-დან 31 მარტის ჩათვლით, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, აწეობს საჯარო შეხვედრებს მოქალაქეებთან და აწვდის ინფორმაციას მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში წარსადგენი პროექტების წარდგენის პროცედურებისა და ვადების შესახებ³;

ბ) ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში უნდა განიმარტოს მინიმუმ ერთი საჯარო შეხვედრა მოქალაქეებთან;

გ) საჯარო შეხვედრების საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

დ) შეხვედრის დანიშვნამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე მისი გამართვის თარიღის და ადგილის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდსა და სოციალური მედიის გვერდებზე.

4.3. საპროექტო განაცხადების წარდგენა:

ა) მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესის ფარგლებში, საპროექტო განაცხადების წარდგენა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს;

ბ) თითოეულ მოქალაქეს, მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს, იურიდიულ პირს შეუძლია არაუმეტეს სამი საპროექტო განაცხადის დარეგისტრირება;

გ) საპროექტო განაცხადების წარდგენა ხორციელდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ დადგენილ ვადაში და ფორმატით;

დ) საპროექტო განაცხადის ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელია ქ. ქუთაისის მონაწილეობითი ბიუჯეტების ელექტრონულ პლატფორმაში;

ე) მოქალაქეს ან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს ასევე შეუძლია საკუთარი საპროექტო განაცხადი დაარეგისტროს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ან ადმინისტრაციული ერთეულების ოფისებში);

ვ) შენიშვნა: საპროექტო განაცხადის ოფ-ლაინ დარეგისტრირების შემთხვევაში ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის IT-დეპარტამენტის ან/და ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომლები ტვირთავენ მიღებულ საპროექტო განაცხადებს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტების ელექტრონულ პლატფორმაში.

4.4. მოწოდებული იდეების პირველადი ანალიზი:

ა) ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დადგენილ ვადებში, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში - მრჩეველთა საბჭო) ახორციელებს მოქალაქეთა ან/და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ მოწოდებული საპროექტო განაცხადების პირველად ანალიზს;

² გარდამავალი დებულება - 2019 წლის 17 ივლისამდე ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების წარდგენის ფორმებსა და ვადებს.

³ გარდამავალი დებულება - 2019 წლის 24 ივლისიდან - 24 აგვისტოს ჩათვლით ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, აწეობს საჯარო შეხვედრებს მოქალაქეებთან და აწვდის ინფორმაციას მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში წარსადგენი პროექტების წარდგენის პროცედურებისა და ვადების შესახებ;

ბ) საპროექტო განაცხადების პირველადი ანალიზის მიზანია საპროექტო განაცხადების აუცილებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა:

- საპროექტო განაცხადის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები უნდა ხორციელდებოდეს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში;
- საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა ექცეოდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში;
- საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში განსაზღვრული პროექტის დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას;⁴
- იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო განაცხადის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, ქონება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

გ). საპროექტო განაცხადების პირველადი ანალიზის პროცესში, ასევე, განისაზღვრება მოწოდებული საპროექტო განაცხადების განხორციელებადობა მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში;

დ) საპროექტო განაცხადების პირველადი ანალიზის შედეგები თავსდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე;

ე) ყველას აქვს შესაძლებლობა მიაწოდოს მუნიციპალიტეტს საკუთარი შენიშვნები საპროექტო განაცხადების პირველადი ანალიზის შედეგებთან დაკავშირებით ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე;

ვ) საპროექტო განაცხადი, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, გამოირიცხება და მიეთითება დეტალური მიზეზი, თუ რატომ არ იქნა შერჩეული აღნიშნული პროექტი შემდეგ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად.

4.5. საპროექტო განაცხადების საბოლოო ანალიზი:

ა) ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილ ვადებში, მრჩველთა საბჭო მერიის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით ახდენს პროექტების საბოლოო ანალიზს და გამოავლენს საუკეთესო განაცხადებს საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად;

ბ) საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული განაცხადების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ათ პროექტს;

გ) საპროექტო განაცხადები საქმიანობის არსიდან გამომდინარე ჯგუფდება თემატური ჯგუფების მიხედვით;

დ) მრჩველთა საბჭო საპროექტო განაცხადების შესაბამისი თემატური ჯგუფების განხილვას ახორციელებს შესაბამისი დარგის ექსპერტების ჩართულობით;

ე) საპროექტო განაცხადების თემატური ჯგუფების განხილვისას და საპროექტო განაცხადების შერჩევისას ყურადღება ექცევა შემდეგ გარემოებებს :

⁴ გ ა რ და მ ა ვ ა ლ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა - მ უ ხ ლ ო ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ა 2021 ს ა ბ ი უ ჯ ე ტ ო წ ლ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი თ ი ბ ი უ ჯ ე ტ ი რ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი ს და წ ყ ე ბ ი და ნ

- პროექტის განხორციელების შემდგომი საოპერაციო ხარჯების ოდენობა;
- პროექტის შედეგის გრძელვადიანი ეფექტი;
- საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის მუნიციპალურ პროგრამებთან კავშირი ან დუბლირება;
- საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის გენდერული ასპექტი;
- საპროექტო განაცხადის მიზნისა და ამოცანების ქ. ქუთაისის განვითარების სტრატეგიასთან შესაბამისობა;
- პროექტში ჩართული ან/და პროექტის შედეგებით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობა;
- პროექტის განხორციელების საორგანიზაციო-ადმინისტრაციული მხარდაჭერის ხარჯები;
- პროექტის განხორციელების გეოგრაფიული არეალი.

ვ) საპროექტო განაცხადების საბოლოო ანალიზის პროცესში შესაძლებელია (განაცხადების ავტორებთან შეთანხმებით) მსგავსი პროექტების კომბინირება და იდეების შევსება, ბიუჯეტის და განაცხადის ტექნიკური დეტალების დაზუსტება, კორექტირება;

ზ) მრჩველთა საბჭოს მიერ, საპროექტო განაცხადების შერჩევა ხდება რეიტინგული ღია კენჭისყრით. კენჭისყრა ჩაითვლება ჩატარებულად, თუ მასში მონაწილეობას იღებს მრჩველთა საბჭოს დამსწრე წევრთა 50%-ზე მეტი.

თ) პირველი 10 საპროექტო განაცხადი, რომელიც ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე დააგროვებს ყველაზე მეტ ხმას, რეკომენდირებული იქნება საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად;

ი) მრჩველთა საბჭოს მიერ შერჩეული საპროექტო განაცხადები თავსდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე, შესაბამის ბლოკში⁵ და მონაწილეობს საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში.

კ) ის საპროექტო განაცხადები, რომელთა შერჩევაც არ მოხდა საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად, ასევე თავსდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე შესაბამის ბლოკში, სადაც მიეთითება დეტალური მიზეზი, თუ რატომ არ იქნა შერჩეული აღნიშნული პროექტი ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად.

4.6. საუკეთესო საპროექტო განაცხადების გამოვლენა:

ა) საუკეთესო საპროექტო განაცხადების გამოვლენა ხორციელდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე პირდაპირი ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე;

ბ) ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობს მრჩველთა საბჭოს გადაწყვეტილებით შერჩეული არაუმეტეს ათი პროექტი;

გ) ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში;

დ) ხმის მიცემის პროცესის ზედამხედველობას ახორციელებს მრჩველთა საბჭო;

⁵ გარდამავალი დებულება - (2019 წლის განმავლობაში გამოიყენება google-ს ონ-ლაინ კენჭისყრის პლატფორმა)

ე) ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის უფლება გააჩნია ქ. ქუთაისში რეგისტრირებულ (და ფაქტობრივად მცხოვრებ) ყველა მოქალაქეს, რომლის ასაკიც აღემატება 16 წელს ;

ვ) ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილე მოქალაქეს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთხელ და მაქსიმუმ სამ საპროექტო განაცხადს ;

ზ) ხმის მიცემის პროცედურა ხორციელდება ელექტრონულად;

თ) ხმის მიცემის პროცედურაში მოქალაქის იდენტიფიკატორად გამოიყენება მოქალაქის პირადი ნომერი;

ი) ის პირები, რომელთაც არ აქვთ ელექტრონულად ხმის მიცემის შესაძლებლობა, მიმართავენ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას ან ადმინისტრაციული ერთეულებს, სადაც მათ მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემის პროცედურაში.

4.7. ხმის მიცემის შედეგების განსაზღვრა:

ა) საპროექტო განაცხადების რეიტინგის ფორმირება ხორციელდება ხმის მიცემის პროცედურის შედეგად მიღებული ხმების რაოდენობის შესაბამისად;

ბ) ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის IT დეპარტამენტი წარუდგენს მრჩეველთა საბჭოს საპროექტო განაცხადების ხმის მიცემის პროცედურის შედეგებს;

გ) მრჩეველთა საბჭო ადასტურებს ხმის მიცემის პროცედურის შედეგებს.

4.8. განსახორციელებელი საპროექტო განაცხადების განსაზღვრა:

ა) პირველი სამი საპროექტო განაცხადი, რომელმაც ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე დააგროვა ყველაზე მეტი ხმა აისახება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტში და ექვემდებარება დაფინანსებას;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საერთო ბიუჯეტი, ნაკლებია ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტებისთვის წინასწარ განსაზღვრულ საერთო ბიუჯეტზე, მაშინ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი დამატებით აფინანსებს მომდევნო საუკეთესო საპროექტო განაცხადს, თუ ის შეესაბამება დარჩენილ ბიუჯეტს;⁶

გ) მრჩეველთა საბჭოს უფლება აქვს რეკომენდაცია გაუწიოს მერიას მომდევნო საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში დააფინანსოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში დაფინანსების გარეშე დარჩენილი საპროექტო განაცხადი, რომელიც მისი აზრით განსაკუთრებით ღირებულია ქალაქის განვითარების და კეთილმოწყობისთვის.

5. მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი უფლებამოვალეობები

⁶ გარდამავალი დებულება - მუხლი ამოქმედდება 2021 საბიუჯეტო წლის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის დაწყებიდან

5.1. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია პასუხიმგებელია მონაწილეობითი ბიუჯეტების განხორციელებაზე, ფინანსების გამოყოფაზე, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის საინფორმაციო მხარდაჭერაზე, გამარჯვებული წინადადების ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვაზე და მის შემდგომ იმპლემენტაციაზე;

5.2. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური პასუხიმგებელია მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესის ზოგად მართვასა და კოორდინაციაზე;

5.3. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება პასუხიმგებელია მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაზე და საინფორმაციო მხარდაჭერაზე, მ.შ.: მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესის ყველა ეტაპზე მოსახლეობისათვის აგრეთვე წარდგენილი და გამარჯვებული საპროექტო წინადადებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე;

5.4. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის IT დეპარტამენტი პასუხიმგებელია მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესის ტექნიკურ მხარდაჭერაზე და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან კოორდინაციით საპროექტო განაცხადების პირველადი ანალიზის განხორციელებაზე;

5.5. მრჩეველთა საბჭო პასუხიმგებელია წარდგენილი პროექტების საბოლოო ანალიზზე და საჯარო ხმის მიცემის პროცედურით შედეგების შეჯამებაზე, ასევე მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესის ეფექტიანობის მონიტორინგსა და შეფასებაზე.